| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, აკუაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 29 დეკემბერს

ქართული თეატრი

კვირას, 29 დეკემბერს,

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

## ბედლამი

კომედია 4 მოქმ., გადმოკეთებული ვალ. გუნიას მიერ

II

## ჭკრიქელი ბიჭი

კომედია 2 მოქმ., თარ. ფრანგულიდან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ცაგარელი, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

რეჟისორი ნ. ავალიშვილი. ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

ოთხშაბათს, 25 დეკემბერს,

ტფილისის სამუსიკო კრუჟოკის სადგომში მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კარის არტისტისა და ბერლინის საფიზიკო კაბინეთის წევრის, ჩვენის დროის უპირველეს პრესტიდიჟიტატორის

## ნ. ა. კაზნოვის მიერ

გამართული იქნება სამედიუმო და საპრესტიდიჟიტატორო საღამო

## ტფილისის ღამის თავ შესაფარის სასარგებლოდ

ნ. ა. კაზნოვი პირველად აჩვენებს საზოგადოებას ძმათა დევენპორტების შკაფს, რომელიც დიდად მოეწონათ პარიჟის გამოფენაზედ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ. (1—1)

სამეურნეო გაზეთი

## „მეურნე“

1892 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინა წლებში

გაზეთის ფასი:

| ტფილისში | | ტფილისს გარედ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა | 4 მ. — კ. | 1 წლისა | 5 მ. — კ. |
| 1/2 „ | 2 მ. 50 კ. | 1/2 „ | 3 მ. — კ. |

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველს გვერდზე.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რეუტის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ უნდა მიჰმართონ თვითონ რედაქციას, შემდეგის ადრესით: **Тифлисъ въ редакцію газ. „Мэурнэ“.**

ყველა, ვინც 1891 წ. იბარებდა გაზ. „მეურნეს“, მომავალს 1892 წელსაც უსასყიდლოდ მიუვა მთელი წლის განმავლობაში. (5—1)

## ღვინო

„მელაანი“ თავ. ი. ზ. ანდრონიკოვი და ამხ.

შედარებით ნაკლებ ფასად.

წლევანდელი ღვინო ბოთლი 15 კ., 20 კ. და 25 კაპ.
შარშანდელი ღვინო ბოთლი 30 კ., 40 კ. და 60 კ.
ძველი ღვინო 1 მ., 1 მ. და 50 კ. ბოთლი. ისყიდება:

საკუთარს მაღაზიაში, მიხეილის ქუჩა, სახ. ბერელაშვილისა; სარდაფში, მთაწმინდის ქუჩა, მჭედლოვის სახლში, და სურსათ-სანოვაგის მაღაზიებში ან. სარაჯევისაში, სამგზავრო ფოსტის პირდაპირ ვერვაროვისაში, გოლოვინის პროსპექტი, სახ. ორბელიანისა.

შედარებით ნაკლებ ფასად.

(3—2)


ტფილისი, 24 დეკემბერი

წარსულ კვირა დღის მეთაურში*) სხვათა შორის ითქვა, რომ „როცა უწესოება ეკონომიურ ურთიერთობისა სხვის ოფლის სწორვართ გზას აძლევს სიმდიდრის შეძენისას, აქ უნდა შველა, რომ ეს ასე აღარ იყოს“. რაკი მოჭირნახულე და გამრჯელი ისეა გარემოებით შეხუთვილი, რომ მეტი გზა არა აქვს, ჩარჩებს უნდა ჩაუვარდეს ხელში, იქ რაც გინდ ეცადოთ გამრჯელი გაადონიეროთ, სულ ამაო იქნება, თუ თვით შემხუთავი გარემოება ძირიანად არ ამოაგდეთ, თუ სატკივარს სათავეშივე ბოლო არ მოუღეთ. ჩარჩობა, რომელსაც სხვა ტიბიკონი არა აქვს, თუ არ ისა, რომ გამრჯელს რაც შეიძლება იეფად დასტყუოს საქონელი და რაც შეიძლება ძვირად მიჰყიდოს მხმარებელსა, ისე ხალვათად და დაუბრკოლებლად არსად ჰმუშაობს, როგორც მიწის ნამუშავრის ალებ-მიცემობაში. იმიტომ-რომ მიწად მომქმედი კაცი, ვითარცა სოფლელი, უფრო უმეცარია, უფრო შორს არის ბაზარზე, უფრო გაჭირებულია ფულისათვის და მაშასადამე უფრო ადვილად ხელში ჩასაგდებია ჩარჩისათვის, რომელიც იმით არის ძლიერი, რომ მეტის-მეტი ოსტატია, მეტის-მეტი ეშმაკი და ამასთან მეტის-მეტი ხარბი და შეუბრალებელი.

ამისთანა საქმეში, სადა ერთი მხარე თითქმის გარდაკეტილია და მომწყვდეული და მეორეს-კი გზა გახსნილი აქვს, შველა მარტო მთავრობას შეუძლიან, მაგრამ მინამ მთავრობას მოვიწვევდეთ საშველად, საჭიროა, ვაჩვენოთ უნუგეშობა ერთისა და თავისუფლად ფართაშობა მეორესი.

ერთი მემამულე შიდა რუსეთისა ევგენი ლვოვი ერთს გაზეთში მოგვითხრობს დაუჯერებელს ამბებს, ჩადენილს სხვის ოფლის მწოვართაგან, რომელთაც რუსები „кулакъ“-ს ეძახიან. ეს ამბები მით უფრო საგულისხმოა, რომ აშკარად, მთელის ქვეყნის თვალწინ გამოდიან მზეზე, ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს და არამც თუ არავინ არ ერჩის საბრძოლველად, არამედ საპატიო კაცადაც მიაჩნიათ ამ ამბების ჩამდენი.

ერთი ვიღაც მაზილოვია თურმე იმ არე-მარეში, რომლის ამბებსაც გვაუწყებს ბ-ნი ლვოვი. ამ მაზილოვს რამდენიმე ვაჟკაცი შვილი ჰყავს. ზოგნი ამათგანი თავის მამის ხელმძღვანელობით დღე და ღამ დაწრწიან სოფელ-სოფელ და ჰტყობულობენ, სად ვის რა უჭირს და რამდენად უჭირს, რომ მერე გაჭირების და კვალად გამოსტყუონ გასასყიდი ნამუშავარი, თუ რამ სხვა საქონელი. ერთი შვილი კიდევ სოფლის სასამართლოში უზის თურმე მწერლად, რომ თავის ძარცვა-გლეჯას კანონიერი ძალა მისცეს წერილით ხელ-შეკრულობისა, რომელსაც სასამართლოში ამტკიცებინებს თავისის შვილის შემწეობით. ამ მაზილოვს სამკალი დღე უფრო მაშინ დაუდგება ხოლმე, როცა სახელმწიფო ხარჯის აკრების დრო მოვა და გაჭირებული გლეხ-კაცობა დარბის ფულის საშოვნელად თავ-გადაგლეჯილი. არა ნაკლებ ჰმკის ხოლმე მაშინ, როცა გაზაფხულის პირას გლეხკაცს საქონლის საჭმელი ელევა და უჭირდება. სწორედ ამისთანა გაჭირებაში მამა თავის შვილებითურთ ჩამოუვლის თურმე გლეხებს და წვრილს, თუ სხვილს საქონელს დასტყუებს ხოლმე თითქმის ურარაოდ, მაგალითებრ, ცხვარს, სამ-ოთხ მანეთად ღირებულს, ექვს თუ შვიდ აბაზად ართმევს. გარდა ამისა, ფულს წინ ურიგებს და ახალ მოსავლის პურს ფუთს ხუთ-ექვს შაურად იკვეთავს. ამასთანავე ჯარიმის ქაღალდს ართმევს, რომ თუ ვინიცობაა გაუმტყუნდა, ფული ერთი ორად უზღოს დაპირებულ პურ გარდა. ამისთანა ხელწერილს ამტკიცებინებს სოფლის სასამართლოს და რა თქმა უნდა თავის დროზე ასრულებინებს კიდეც პირობასა. ამ რიგად ნაყიდი პური მიაქვს თურმე საფქვავად იმავ მაზილოვს თავის წისქვილში და აქედამ ზოგს გლეხკაცებზევე ჰყიდის ნისიად ფუთს 70—80 კაპეიკამდე და ზოგს ნარდად აძლევს უფრო სხვილს ჩარჩსა, როგორც, მაგალითებრ, მილიონერი სტახეევია.

ამ სტახეევს თურმე მთელი ბედე და ქსელი აქვს გაბმული მთელს იმ არე-მარეში. სად დუქნები აქვს გამართული, სად ამბრები, სად რა და სად რა. გარდა ამისა აუარებელი ქარგლები ჰყავს თურმე ყველგან გაფანტული და ყოველ ამის შემწეობით ჰხვეტს და ჰხვეტს ხალხის წვითა და დაგვით მონაგარსა. ამ გზით სტახეევმა თურმე რამდენსამე თთვეს ნახევარი მილლიონი ფული მოიგო მარტო იმით, რომ იეფად ჰყიდულობდა პურს გაჭირებულ გლეხთაგან და იმათვე ძვირადვე აძლევდა. ეს სტახეევი აქ ყველას კეთილმყოფელად და მადლიან კაცად მიაჩნიათო, ამბობს ბ-ნი ლვოვი, მაშინ როდესაც 30—35 კაპეიკად ნაყიდს პურს იმავე გლეხებს აძლევს 90 კაპეიკადაო.

რომ ამისთანა კეთილმყოფელი, როგორც სტახეევი ყოფილა, უმეცარ და უვიცს გლეხკაცობას მადლიან კაცად მიაჩნია, ეგ საკვირველი არ არის. ერთმა აქაურმა ბრძენმა მწერალმაც დიდ სამადლობელ საქმედ ჩასთვალა, რომ აქაური ჩარჩები სოფლელ გლეხკაცს ქალაქის პირას უხვდებიან, გასასყიდად ჩამოტანილს შეშას ეშმაკურად უფოლავენ, იეფად სტყუებენ, რომ ეგრეთის ტყუებით შეძენილი შეშა მერე ჩვენვე ძვირად მოგვყიდონ და ამ სახით გლეხ-კაცსაც პირიდამ გუთვნილს ლუკმას ჰგლეჯენ და შემის მხარჯავსაც მაინც შეშა ძვირად უჯდება. ნუ თუ ამ მტრედივით უმანკო მწერალს ჰგონია, რომ ამის მომქმედნი ამას იმიტომა სჩადიან, რომ ქალაქში შეშა გააიაფონ. ნეტარ არიან მორწმუნენი და ამ ნეტართა შორის იგიც იყოს. თუკი მწერალი, რომელიც ასე თუ ისე თავამდებარეა სხვას ჭკუა ასწავლოს, აგრე თვალ ახვეული დადის დედა-მიწის ზურგზე, თუ-კი სხვის მაზიარებელი თვითონ უზიარებელი ჰრჩება, უმეცარ გლეხკაცს რაღ ეკიქინება, სტახეევი თავის კეთილმყოფელად მიიჩნიოს.

ესეა თუ ისე, ბევრს ამისთანა წეწვა-გლეჯის ამბავს კიდევ გიამბობდითო, ამბობს ბოლოს ბ-ნი ლვოვი, მაგრამ ესეც საკმარისია მიწათ-მომქმედის ხალხის ავ-კარგიანობის დასასურათებლადაო.

ამისთანა ამბებს არც ჩვენა ვართ მოკლებულნი. თუმცა ჩვენში მილიონერი წურბელა იშვიათია, მაგრამ რასაც შიდა რუსეთში ერთი მოქმედობს, აქ ათასნი არიან, მით უფრო მოსარიდებელნი, რომ წვრილ ფეხობაა და, ესენი უფრო უჩინარნი, ხარბნი და გაუტანელნი არიან. რაც წვნიკი კოდო კაცს შეაწუხებს, იმას მგელი ვერ იზამს, იმიტომ-რომ მგელს როგორმე მოიშორებ, ან მოჰკლავ და კოდო-კი არც-კი იცი სად ეძებო. ეს ასეთი კოდოები გარს ახვევია მიწათ-მოქმედობას და შეძლებისამებრ სწოვს. თითქო გარემოებაც როგორღაცა სწყალობს ხოლმე, როგორღაც ხელს უმართავს.

აი ეხლაც; მაგალითად, მას აქედ რაც აკრძალულ იქმნა ხორბლეულების გატანა სამზღვარ გარედ, მთელი მიწათ-მომქმედი ხალხი—თავად-აზნაურობა თუ გლეხ-კაცობა—სალტად დარჩა პირდაღებული. მართალია, როცა შინ შვილები გიტირიან, გარედ ტაბლას რა უნდა: როცა შინ შიმშილია, პური რად უნდა გავიდეს გარედ. მაგრამ აქ-კი საქმე ისე გამოდის, რომ ჩვენი ჭირნახული, რომელიც ღვთის მადლით დღეს ჩვენში ბევრია, არც დამშეულთათვის მიაქვთ და ვეღარც გარედ გაგვაქვს, რომ ჩვენც ხელი მოვინაცვლოთ და ჩვენს საყოველდღეო საჭიროებას გავუძღვეთ. არც ჩვენათ, [illegible] თქვენათ. მაშ ვისა? მარტო ჩარჩებსა. სხვა გზა არ არის, ქვეყანა მარტო ჩარჩებს უნდა ჩაუვარდეს ხელში. უმოსავლობამ ცალკე, გაჭირებამ ცალკე ლამის ჩალის ფასად გადააყრევინოს ხალხს მისი ნაწვავ-ნადაგი და ჩარჩებს ჩაუგდოს ხელში. ჩარჩები, რა თქმა

*) იხ. „ივერია“ № 273.

უნდა, სიხარულით ტაშსა სცემენ. ამ გაჭირებაში ჩალის ფასად დასტყუებენ ხალხს მის ჭირნახულსა და მერე იეფად ნასყიდს მამასისხლად გაჰყიდიან.

ახლა იფიქრეთ, ამ სახით რამოდენა ძალი ქონება დაეკარგება გამრჯელსა, რომელიც ეხლა ისე შეხუთვილია, რომ იეფად უნდა ჰყიდოს და რამოდენა მოგება დარჩება ჩარჩსა, რომელიც იეფად ნასყიდს ამ ორ-სამს თვეს უკან მამასისხლად გაჰყიდის და სხვის ოფლის მონაწურისაგან ჯიბეს გაივსებს. ყოველ ამაში ჰზარალობს გამრჯელი, ჰზარალობს მხმარებელი და მოგებაშია მარტო ის, ვისაც ხელიც არ გაუნძრევია საჭირნახულოდ.

აბა ერთი იფიქრეთ: რა უნდა ჰქმნას გამრჯელმა ხალხმა, როცა გარემოება ხელს უწყობს სტახეევისთანა მარჯვე კაცს რამდენისამე თვის განმავლობაში ხელიდამ ნახევარ მილლიონის ქონება ჰგლიჯოს მოჭირნახულეს და თვითონ იდოს ჯიბეში. რა უნდა ჰქმნას გამრჯელმა ხალხმა, როცა ეუბნებიან, არც მე მოგივალ შინ და ვიყიდი შენს ჭირნახულსა და ნურც გარედ გაიტან გასასყიდათაო. ახ გამრჯელი რად უნდა იყოს ჩავარდნილი იმ მდგომარეობაში, რომ ულაჯობის გამო იძულებულია ჩალის ფასად ჰყიდოს თავისი ნაწვავ-ნადაგი, ან ხარბს ჩარჩსა რად უნდა ჰქონდეს გზა გახსნილი, რომ საცა არ უთესნია, იქ უხვად მკოს.

ნუ თუ აშკარად დასანახი არ არის სად და რაში უნდა ეწამლოს ასეთს უნუგეშოდ ყოფნას მიწათმოქმედის ხალხისას.

## ახალი ამბავი

⁂ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი გუშინ მობრძანდა პეტერბურგიდგან და დღეს სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდება. წირვის შემდეგ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პარაკლისს გადიხდის.

⁂ მეტეხის საპყრობილეში ამ თვის 23, სისხლის გამოშვების დროს, მომკვდარა თითქმის მთელის ტფილისის ნაცნობი ყორღანოვი, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა აფიცრის მუნდირის ჩაცმა, რის გამოც არა ერთხელ მოუვიდა უსიამოვნობა ტფილისის კომენდანტთან, რომელმაც იგი ბოლოს დააპატიმრებინა კიდეც.

⁂ გორში ამ თვის 20 სამხედრო ბეგარის საკრებულოს კრება გაუთავებია და ჯარში გასასვლენი ახალგაზდა კაცნიც უკვე წაუყვანიათ.

⁂ ბ-ნი ტფილისის პოლიცმეისტერი სამხედრო უწყებასა სთხოვს ასის ჯარის კაცის მოშველებას, რადგანაც ამ დღესასწაულებში პოლიციელები ვერ აუვლენ მთვრალის კაცებისა და ქურდ-ბაცაცების უკან დევნას.

⁂ მოსკოვიდამ ბ-ნ კონსტანტინე ტურიაშვილისაგან მოგვივიდა ექვსი მანეთი ბ-ნ ალექსანდრე ყაზბეგის სასარგებლოდ. ამ ფულისა აქამდე გვქონდა 358 მან. 20 კაპ., ამითი შესდგა 364 მან. 20 კაპ.

⁂ შაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება ამ საზოგადოების წევრთა. სხვათა საქმეთა გარდა, ამ კრებაზე განხილული იქნება ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოებისა 1892 წლისათვის და ხარჯთ-აღრიცხვავე ტფილისის საბაღოსნო სკოლისა. კრებაზედ არა-წევრთაც ნება აქვთ დაესწრნენ.

⁂ გუშინ-წინ, ორშაბათს, ტფილისის ქალაქის საბჭომ თავისს ჩვეულებრივს სხდომაზედ სულ რამდენიმე საგანი განიხილა. უპირველესად წაკითხულ იქმნა წინა სხდომის ოქმი. შემდეგ ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს, რომ მუხრანის ქუჩის ბორანი იჯარით მიეცეს ქურეგოვს სამის წლის ვადით 6,300 მანათად. შემდეგ ბაასი გაიმართა იმის შესახებ, რომ ვერისა და მნაცაკანის ხიდებიც გაიცეს იჯარითაო. ბ-ნს მელიქ-აივაზოვს უნდოდა ამ ხიდების იჯარით აღება. საბჭომ ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ ისევ საკეთილოდ დაინახა და ის ამჯობინა, რომ ეს ხიდები იჯარით არ გაიცეს, ქალაქის მმართველობაშივე დარჩეს, რადგან თუმცა იჯარადარი კარგს ფასს იძლევა, მაგრამ შეიძლება ხალხს დააქციოს კისრად ეს ფასი დ ხიდის გარდასახადი ერთი ორად და სამად გადაახდევინოს სოფლის მკვიდრთ, განსაკუთრებით მნაცაკანის ხიდზედ, სადაც სოფლელები და ჩოდრები ხშირად მიდი-მოდიან ცხვრის ფარა და სხვილ-ფეხი საქონელი გადაჰყავ-გადმოჰყავთ ხოლმეო. შემდეგ ქალაქის მკვიდრ მცხოვრებელთა (мѣщанская управа) გამგეობამ ითხოვა, რომ სამხედრო ბეგრისთვის შედგენილი საოჯახო სიები გადმოგვიწერეთ, რომ სახელმწიფო ხარჯის გაწერისათვის გამოვიყენოთო, მაგრამ საბჭომ ეს თხოვნა არ შეიწყნარა, რადგან ამ სიების გადაწერას ხარჯი სჭირდება და ამ ხარჯს ზემოხსენებული გამგეობა არა კისრულობსო. რამდენისამე უმნიშვნელო საგნის განხილვის შემდეგ ქალაქის საბჭო მეთერთმეტე საათზედ დაიშალა.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, ბრალმდებელი ოლქის სასამართლოსი არ დასთანხმდა ამ სასამართლოს გარდაწყვეტილებას ა. აღნიაშვილის საქმის შესახებ და საჩივარი სამოსამართლო პალატაში გადაიტანაო. როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, ა. აღნიაშვილს ჰბრალდებოდა კ. ბებუთაშვილის მოკვლა და სამის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა ოლქის სასამართლომ. როგორც ეხლა შევიტყეთ დაჰეშმარიტებით, სამოსამართლო პალატას უკანვე დაუბრუნებია და არ შეუწყნარებია ბრალმდებელის საჩივარი, რადგან საკასაციო ვადა გადაუცილებია ბრალმდებელს და დროზედ არ წარუდგენია ქაღალდი.

⁂ რადგანაც ბანკში სალატარიო ბილეთების ყიდვა ძნელია დ თითქმის არც-კი იშოვნება, ამის გამო ზოგიერთს ვაჟბატონს გოლოვინის პროსპექტი ბირჟად გაუხდია და იქა ჰყიდის ხუთ მანეთიანს ბილეთს რვა მანეთად და მეტადაც.

⁂ გუშინ ციხეში გაგზავნეს პოლიციის მიერ შეპყრობილი 24 კაცი, რომელნიც უსაქმოდ დაეხეტიალებოდნენ ქუჩებში და პასპორტები არა ჰქონდათ.

⁂ ამ დღეებში მოელიან ხივადამ ემირს, რომელიც ჯერ პეტერბურგში გაემგზავრება და შემდეგ-კი ბერლინსა, პარიჟსა და ვენაში.

⁂ კავკასიის გუბერნატორების კრება უკვე გათავდა. ჭირიან საქონლის დახოცვის შესახებ დაადგინეს, რომ რამდენიმე ნასწავლი ბეითალი მოიწვიონ რუსეთიდამ, მხოლოდ საქონლის დიხოცვა-კი ყოვლად შეუძლებლად სცნეს, რადგანაც კავკასიაში ცოტა ბეითალია და ყოველ საქონლის გასინჯვას ვერ მოასწრობენო.

⁂ ამ დღეებში იარმუკაზე ჯიბის ოსტატებმა ძალიან გაიმარჯვეს. მაგალითად, ამ თვის 23 პოლიციას ექვსმა კაცმა გამოუცხადა, იარმუკაში ფული ამოგვაცალეს ვაჭრობის დროსაო.

⁂ ბ-ნმა ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, რათა ამ დღესასწაულებში ხშირად ათვალიერონ მიკიტანხანები, ლუდხანები, ტრაქტირები და სხვა ამ გვარი ადგილები და იქ მყოფთ მოსთხოვონ პასპორტები. ვისაც პასპორტი არ ექნება, მეორე დღეს პოლიციამ უნდა წარუდგინოს ბ-ნს მასტიცკის ციხეში დასაპატიმრებლად და ან ტფილისიდამ გასაგზავნად. ამასთანავე ბ-ნი მასტიცკი უბრძანებს ბოქაულებს, ღამ-ღამობით ასი პოლიციელი მეტი დააყენონ. ღამ-ღამობითვე ცხენოსანმა პოლიციელმა უნდა იძოვოს ქუჩა-ქუჩა.

⁂ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება რადგანაც ამ სამ დღეს დაკეტილი იქნება, ვადიანი თამასუქები ნატარიუს ტურკოვსკის კანტორაში გადაუცია ფულის მისაღებად. ამავე ბანკის შემნახველი კასსა გუშინ ამ თვის 24 დაიკეტა იანვრის შვიდამდე.

⁂ ტფილისის ღარიბ-ღატაკნი ამ დღესასწაულებში დიდს გაჭირებაში არიან. გასულს წელს მათ ეძლეოდათ კავკასიის მთავარმართებლის კანცელიარისა და სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებიდგან შემწეობა. ამ წელს-კი, შუაგულს რუსეთში ჩავარდნილ სიმშილისა გამო, დიდი ძალი ფული გაუგზავნეს დამშეულებს და ტფილისის ღარიბ-ღატაკთ-კი მარტო კავკასიის მთავარმართებლისაგან ეძლევათ შემწეობა.

⁂ გაზ. „მეურნე“-ში, რომელიც დღეს მივიღეთ დიდის ხნის ცდის შემდეგ, ვკითხულობთ:

„რადგან ქუთაისის გუბერნიაში ფილოქსერა ისე გამრავლდა, რომ ადვილად შესაძლებელია მისი გავრცელება ქართ-კახეთშიაც, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი სცდილობს, როგორმე ცოტად მაინც შეაჩეროს ამ საშინელის მტერის გავრცელება. ამიტომ მომავალს წელს სურამის ახლო-მახლო სოფლებში—ქვიშხეთიდამ წაღვლამდის დანიშნულია სამი საფილოქსერო დასი. დანარჩენი ოთხი დასი ამ გვარად დაიყოფება: ერთი საფილოქსერო დასი დაინიშნება ტფილისის მაზრაში, ერთი კახეთში, ერთი რაჭასა და ლეჩხუმში და ერთიც შორაპნისა და ქუთაისის მაზრაში. ამ უკანასკნელის დასის ვალდებულება იქნება, ასწავლოს ხალხს წამლობა ფილოქსერა მოდებულ ვენახებისა. დასენმა პარტიებმა უნდა ეძიონ ფილოქსერა და, თუ სადმე ახალს ადგილას აღმოჩნდა ეს საშინელი მტერი, მაშინვე სასტიკი ღონისძიება მიღებული უნდა იქმნას მის მოსასპობლად.“

⁂ იქვე სწერია: „ჩვენი სამეურნეო საზოგადოება როგორღაც ჩაჩუმდა—ჩაიძინა. ეს მესამე წელიწადი მიდის, კავკასიის გამოფენის აქეთ და მისი მოქმედება თითქმის სრულიად შეჩერდა. მართალია, მისი არსებობა არც წინად იყო ძალიან ნაყოფიერი, მაგრამ თვეში ორჯელ მაინც იკრიბებოდნენ საზოგადოების წევრნი და ასე თუ ისე მსჯელობა ჰქონდათ ხოლმე სხვა-და-სხვა სამეურნეო საგანზედ. ამ ბოლო დროს-კი ამასაც ველარ ვხედავთ. ათასში ერთხელ თუ მოიდებს ვინმე მადლს და რაიმე საგანზედ წაიკითხავს მოხსენებას და თვეში ორჯელ-კი არა, როგორც წინად იყო, არამედ ორს თვეში ერთხელაც ველარ მოხდება ხოლმე წევრთა კრება. ბევრი და დიდი იმედები ჰქონდა საზოგადოებას, როცა ახალი ვიცე-პრეზიდენტი ამოირჩია, მაგრამ ჯერჯობით ეს იმედები გამტყუნდნენ. ძვირად ნახავთ ბ. ბახმეტიევს ქალაქში და მისის თავს-მჯდომარეობით სულ ოთხი-ხუთი საზოგადო ყრილობა არა მომხდა-რა. გამოფენის გამართვის შემდეგ უფრო ხშირად და მაღალის კილოთი ყოფილა ლაპარაკი სამეურნეო საზოგადოებაში, რომ საზოგადოებას რაიმე გავლენა რამ ჰქონდეს ჩვენს სამეურნეო მრეწველობის წარმატებაზედ, საჭიროა საზოგადოების საქმეებში მონაწილეობა მიიღონ თვით მეურნეებმა და მემამულეებმაო, რომ ამ პირთა მომხრობა არის საჭიროო, მაგრამ საზოგადოებამ ვერა მოახერხა-რა და უწინდელი ბიუროკრატიული ხასიათი ვერ შესცვალა და თუ საზოგადოებას რაიმე სიცოცხლე ეტყობოდა, ისიც მოესპო. საზოგადოებას

---

# ფელეტონი

## დათიკოს მონოლოგი

(საშობაო ამბავი)

პატარაა ოთახი, ჰერ დაბალი, ჰუჰყიანის კედლებით; მორთულობაც ოთახისა ეშესაბამება ოთახის გარეგნობას; ორი გახუნებული ჩალის სკამი, უბრალოდ შეღებილი საწოლი, ზედ მცირეოდენის ლოგინით, კედელთან მიყუდებული ფეხ-მოტეხილი სტოლი. გამჭვარტლულ ბუხრის რაფაზედ ოდნავ ბჟუტავს პატარა ლამპარი. ოთახში მძიმე ნაბიჯით ბოლთას სცემს დათიკო ყლაპიაშვილი და შავს ფიქრებშია გართული. ხანდისხან მწარედ ამოიოხრებს, შესდგება ფანჯარასთან და იქიდგან გადაჰყურებს დარბაისლად მოდუდუნე მტკვარს, რომლის ტალღებშიაც აქა-იქ ვარსკვლავები ციმციმებენ და თითქო ცოცხალს არსებას ავვანებენ იმის მღორე მომდინარეობას. შუა ღამეა. ქალაქში ხმაურობა მთლად შეწყვეტილია, ათასში ერთხელ დაგვიანებული ეტლი თუ გაირახრახებს მოკირწყლულს ქუჩებზედ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა უძლური ვარ, რა ლაჩარი! რაღას ვფიქროფ, რატო ბოლოს არ ვაძლევ ჩემს გადაწყვეტილებას, რაღას ველი? იქნება იმას, რომ სიმშილით სული ამოხდეს? სიმშილით... დიაღ, სიმშილით, ამიტომ რომ სამი დღეა ჩემს პირში ნაწილი არ ჩასულა. საშინლად-კი ვიტანჯები, საშინლად, წელები მეწვის, თითქო დაწყვეტას აპირობენ, გულს თითქო გველები მწოვენ, თავს ბრუ მეხვევა, მაგრამ-კი არა ვკვდები... აცა მუსიკის ხმაა!.. ჰო, დღეს აქ, ჩვენს მეზობელს წვეულება აქვს. შობას ეგებებიან. მე რატო არ მიმიწვიეს? რა რიგად გავძღებოდი. ხა, ხა, ხა! რატო არ მიმიწვიეს-მეთქი... მე უბედური! ამ ტანისამოსით რა მშვენიერად დავამშვენებდი იმათს სასტუმროს! რა მშვენიერადა ვარ გამოწყობილი: მოკლე შალვარი, გამსკდარი წაღა, მწვანედ და ყვითლად გახუნებული პიჯაკი! პერანგი? პერანგი? ოჰ, ყველაზედ მეტად ეს ჰუჰყიანი, გაოფლიანებული პერანგი მტანჯავს, ტანს მიხრავს, მწვავს, მწვავს, მარჩობს (საყელოს ჩამოიგლეჯს), დღეში ორჯელ რომ არ გამომეცვალა, ყოვლად შეუძლებელი იყო; მოსარეცხეს ვტანჯავდი, ვაგინებდი, საკმაოდ სპეტაკად არა ჰრეცხავ-მეთქი! პერანგის სითეთრეზედ იყო დამოკიდებული ჩემი გუნება, ხალისი, კმაყოფილება და დღეს-კი (მწარედ ჩაიცინებს და ისინჯავს ალაგ-ალაგ გაქონილს პერანგს.) სულელი... რას ვბოდავ პერანგზედ, როდესაც ლუკმა არა მაქვს, სახლიდგან დღეში სამჯერ მაგდებენ, ათასი მოვალე პირში მაფურთხებს, ჩემს თავსმოყვარეობას, სინდისს, პატიოსნებას ყოველს წამს ფეხით სთელვენ, თავზე ლაფს მასხამენ და მე სუფთა პერანგისთვის ვტირი!.. ოჰ, მეტი მოთმინება შეუძლებელია, შეუძლებელია, (სწრაფად მიდის ფანჯარასთან). მერე რა ადვილად მოვრჩები ყველა ამ ტანჯვას! აი ეს ფანჯარა, განა შიგ მტკვრის უფსკრულში არ ჩაიცქირება, განა მტკვარი, ეს შავი, ცივი, ბაყბაყა მდევივით მგმინავი უმალ სვავივით არ გადამყლაპავს?! (წყნარად) ნეტა ზაფხული მაინც იყოს, ერთის წამით მაინც ვიგრძნობდი წყლის სიგრილეს, გამბანელს ძალას... აგერ რვა თვეა, აბანო თვალით არ მინახავს... ეხლა-კი მტკვარს თოში მოაქვს, გვერდებს სულ დამიგაზავს, დამილეწავს... ეჰ, ტანში მაჟრიალებს... აგერ ორი საათია, ეს ფანჯარა ღია მაქვს და მტკვრის სიომ მთლად გამაშეშა... (ხურავს) რას ვსჩადი?.. დასწყევლოს ღმერთმა, როგორ გამიტაცებს ხოლმე სხვა-და-სხვა ფიქრები და როგორ მავიწყებს ჩემს გარდაწყვეტილებას... მავიწყებს! განა შესაძლებელია დავივიწყო, არა და არა... მშიან... მწყურიან... მცივა... ოცდა ცხრა წლის ვაჟ-კაცი ვარ, საღი, ღონიერი, როგორც საცოდავი დედა ჩემი იტყოდა ხოლმე გონიერიც, ლამაზი, ტანადი და მშიან-კი! მშიან! ფუ, სირცხვილო! ხელი მაქვს და მუშაობა არ ვიცი, ტვინი მაქვს და ზრუნვა არ ვიცი, ჯანი მაქვს და უძლური-კი

ერთად ერთი ცოცხალი საქმე აქვს— საბალოსნო სკოლა, მაგრამ ამ სკოლასაც რიგიანად ვერ უპატრონებს. ამას წინად საზოგადოების წევრთა კრებას მოჰხსენდა სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ სკოლის შესახებ. მოხსენება თვალ-ნათლად აჩვენებდა საზოგადოებას, თუ რა ცუდს და არა სანატრელს მდგომარეობაშია იგი სკოლა: მოწაფენი ზამთარ-ზაფხულ დაგლეჯილის ჩექმებით დაიარებიან, თუმცა თითო მოსწავლეზედ ყოველს წელიწადს ფეხსაცმელისათვის 16 მანეთია გადადებული, ბევრს მოსწავლეს თბილი ტანთსაცმელი არა ქვს, ს-ცვალი თითო ცალის მეტი არა აქვსთ, რის გამოც სკოლა დიდის სიწმინდით თავს ვერ მოიწონებს; წელიწადში თურმე ოც-ოცი და ორმოც-ორმოც-და-ათი ნივთი: ქუდები ხელის და პირის სახოცები და სხვ. იკარგება. სკოლის გამგეობა ყველა ამ უწესობაში თავს იმით იმართლებდა—შეძლება არა გვაქსო, ხოლო საზოგადოება იმ აზრს დაადგა, რომ სკოლა თუ არა სასიამოვნო და სანატრელს მდგომარეობაშია, ამის მიზეზი შეუძლებლობა-კი არ არის, არამედ გამგეობის დაუდევრობა და ღონისძიებათა მიუღებლობაო.“

## საშობაო მოთხრობა

(პოლ ბურჟესი)

ღამის თერთმეტი საათია. ქარი ჰქრის და ნამქერი მოაქვს. მონსოს ბაღის მახლობლად გრაფ ეისევის სადგომს პატარა სასტუმროში ამ შობის წინა ღამეს სწორედ მოწყენილი სიჩუმე სუფევს, რომელიც ყველა სახლის სტუმარია, სადაც-კი მოიმკის ხოლმე თავისს სამკალს შეუბრალებელი, გლოვის მეფა სიკვდილი. პარიჟში არავინ იქნება ისეთი, რომ ეისევის თქმაზე არ გაახსენდეს სამწუხარო ამბავი ახალგაზდა გრაფინასი, გაზაფხულზე ცხენიდგან რომ ჩამოვარდა და მოკვდა. მეც მაშინვე მომაგონდება ხოლმე პირველი წარმოდგენა თეატრში „ბაღდადის პრინცესსასი“, ერთის წინა რიგის სავარძელში მჯდომარე ახალგაზდა მომხიბლავი ლამაზი ქალი, მისი რგვალი პირის-სახე, მოხდენილი ფერმკრთალობა, ორი მსხვილი მოშავო ნაწნავი და სადა თვალეეი, რომელსაც სიბეცის გამო ცოტათი ჰხუჭავდა, თუ ოქროს ლორნეტი (სათვალე) არ ეჭირა ხელში. ლორნეტი ძლიერ მოხდენილად ეჭირა თავისის კოპწია თითებით. გრაფინას სამი ობოლი დარჩა—ორი ვაჟი, თერთმეტის წლის პიერი და ცხრა წლის არმანი და პატარა ქალი სიმონა, რომელიც ჯერ რვა წლისაც არ შესრულებულა.

ყმაწვილებს სასტუმროს მეორე სართული უჭირავთ. ორს ძმას ერთი საერთო ოთახი აქვს, პატარა სიმონას-კი საკუთრად ცალკე ოთახი. ამ საზარელს შობა ღამეს კარში ძლიერი ცივა, ღარიბი ყმაწვილები კანკალებენ, იყინებიან და პატარა სიმონასაც გული თითქმის ეყინება, თუმცა იმის მდიდრულად მორთულს ოთახში თბილა-კი და ბუხარში ცეცხლიც, ეს ეს არის, იფერფლება. იატაკზე დაფენილი ხალი, პირისფერი მწვანე არშიიანი ფარდები, პატარა კოპწია ტახტზე ჩამოფარებული, სამწერლო სტოლი და სხვა მრავალი ნივთი, რაც-კი სტოლზე და სხვა ალაგას აწყვია ოთახში, ყოველივე ეს პატარა სიმონას დედას აგონებს, რომელმაც ასე მდიდრულად მოაწყო თავისი საყვარელი ქალი. გრაფინას მოსწონდა და ამაყობდა კიდეც, როცა ამ ოთახში სტუმრები შემოდიოდნენ და იტყოდნენ ხოლმე: „ახ! ჩიტუნიავ! შენს დროს ჩვენ ეგრე როგვანებივრებდნენო“. მაგრამ ვაი, რომ მწარე სულის ობლობა აწუხებს სიმონას ამ თბილს ოთახში, სადაც განმარტოებით მისცემია თავისს ფიქრებს! ჰფიქრობს და ატყობს, რომ დედის სიკვდილის შემდეგ გარემოება ეცვალა, ცხოველს სიყვარულს მოაკლდა. თვით სიკვდილი-კი არის მიზეზი სიმონას ტანჯვისა. იმის ხნისას სიკვდილი საზარელს სურათს ვერ დაუხატავს: პერ-ლაშეზას ერთ-ერთს მთას, აკლდამას სხვა მრავალ აკლდამათა შორის, შიგ კუბოს და კუბოში უსულო გვამს, რომელიც დღითი დღე, წუთით წუთამდე იხრწნება და იშლება... არა, უმანკო ყმაწვილს ჰგონია, დედა ზეცას გაფრინდა, იმ შორსა და უსაზღვრო სივრცეში, სადაც ყოველ გვარი სიხარულია, სადაც მხოლოდ ანგელოსნი სცხოვრობენ და ნეტარობენ. სიმონას იმედი აქვს, მეც ვეღირსები იმ ბედნიერს სავანეს და კვლავა ვნახავ საყვარელს დედასაო. დედა ძლიერ კარგად ახსოვს, რომელიც სადღაც მიიმალა. თვალებ დახუჭული, გალურჯებული და გასისხლიანებული დედის სახე როდი უნახავს: გრაფმა შვილები მაშინვე თავისს დედასთან გაგზავნა ვერსალში. ძაძა ტანისამოსი რომ ჩააცვეს, ბავშვები შეეკითხნენ, მაგას რად გვაცმევთო. ჯერ არაფერი უთხრეს უფროსებმა, მაგრამ შემდეგ მათმა ცრემლ-მორეულმა თვალებმა და სახის მწარე გამომეტყველებამ შეაგნებინა, რომ რაღაც უბედურება იყო მათს თავსა. ახ, რა მშვენიერი ბაღი იყო ის ბაღი, გაზაფხულზე რომ სასეირნოდ დაჰყავდათ ყმაწვილები. რამდენს ქანდაკ-სურათსა ჰნახავდნენ ხოლმე! რა კარგი მორევები იყო ბაღში! მერე ხომ მამაც მივიდა. „დედა სად-ღააო?“ იკითხეს სამივემ ერთად. გრაფი ამღუღრდა და შვილები გადაჰკოცნა. რა მწარედ იყო დაღვრემილი! მაგრამ პატარა სიმონას უფრო ის ახსოვს, რომ იმ დღიდგან საზარელი, უცნაური ამბავი მოხდა: მამას წინანდებურად აღარ უყვარდა. აი სწორედ ამიტომ ფხიზლობს ამ შობა ღამეს და ტკბილს ძილს არ ეძლევა თავის ძმებსავით, რომელთაც მახლობელს ოთახში უზრუნველადა სძინავთ.

მამას წინანდებურად აღარ უყვარს! ათასნაირი ფიქრი ერევა თავში და ამ საგანს ვერ მოსცილებია. ეხლა აღარ უყვარს, წინად-კი რა გაგიჟებით უყვარდა! პატარა სიმონას კვლავ მოაგონდა ვერსალის ბაღი, სადაც პირველად შეატყო უსიყვარულობა მამასა, თუმცა მიზეზი-კი ვერ გაეგო იმ კაცის ასე უეცრად გამოცვლისა და გულის გაგრილებისა, რომელიც წინად ყოველს წუთს ელერსებოდა. სიმონა, პიერი და არმანი ერთად დასეირნობდნენ. აღმზრდელი ქალი მარიამიც იქ იყო. უეცრად მოვიდა მამა; სიმონა ჩვეულებისამებრ მამისკენ გაექანა და აკოცა. ერთის შეხედვითვე შეატყო მამას ცვლილება, ის წინანდელი მამა აღარ იყო. პირველად სიმონა ძლიერ განცვიფრდა ამ ამბით, თითქოს შიშმა შეიპყროვო. მაგრამ განა რა დააშავა იმ დღესა? მამამ მკვახედ რად უთხრა, აღმზრდელთან წადიო. ასე ხომ მაშინ ელაპარაკებოდა, როცა დანაშაული რამ მიუძღოდა. მამა ხან პიერს ჩაავლებდა ხოლმე ხელსა და ხან არმანსა და ამას-კი არა. მას შემდეგაც სულ ისევე ექცეოდა მამა. ამასთანავე სხვა ათასი წვრილმანიც პატარა სიმონას ცხოვრებისა სრულიად შეიცვალა. დედა რომ ცოცხალი ჰყავდა, ყოველ დილით, წამოდგებოდა თუ არა ლოგინიდგან, ჯერ საწყალს დედასთან მივიდოდა, მერე მამასთან იმისს ოთახში და კარგა ხანს ენებივრებოდა. ეხლა-კი ყველაფერი მოისპო, აღარც ალერსიანი სიტყვა, აღარც ღიმილი, რომელსაც წინად ერთის უბრალო სიტყვითაც-კი მოჰგვრიდა ხოლმე მამასა. ეხლა-კი სრულიადაც აღარ შეჰხედავს ხოლმე მამა. მას შემდეგ ვეღარა ჰბედავს მივიდეს და ხელზე აკოცოს მამასა, რაც იმან ერთხელ პატარა სიმონას ალერსის დროს უკმეხად წაართვა თავისი ხელი, რომლითაც ერთს დროს ნაწნავებს დაუჭერდა ხოლმე და ეთამაშებოდა. ამაოდ სცდილობს და ილვწვის, რომ აღმზრდელმა ქალმა საყვედური ვეღარა მოუხერხოს-რა,—მაგრამ მაინც ვერა-და-ვერ ეღირსა იმისაგან ქებას; სიმონას ჰგონია, მამიჩემის უსამართლობა ყველას გადაედოო, ჩემს ძმებსაც-კი, რომელნიც ასე უდიერად მექცევიანო და აღმზრდელს ქალსაც, მალი-მალ რომ გამიბოროტდება ხოლმეო. ვის შესჩივლოს? გულ-კეთილი დიდ-დედა ვერსალშია, თანაც სუსტი, ყრუ და ვერც ჰხვდება. მამას შესჩივლოს? მამისა საშინლად ეშინიან და ვერც მოერევა ამ შიშსა. როდის-ღაც-კი ჰყავდა გულითადი მეგობარი, მარკიზი ედი, თავისი ნათლია. ეხლა ის ამათსა აღარ დაიარება. რამდენჯერმე შეჰხვდა ელისეის მინდვრებში, მაგრამ მხოლოდ შორიდგან დაუკრავდა ხოლმე თავს აღმზრდელს ქალსა და ახლო სალაპარაკოდ არ მოდიოდა ამათთანა, თუმცა სიმონას-კი თვალს გააყოლებდა ხოლმე. იმან რაღად დაანება თავი, თუ-კი ისევ ძველებურად უყვარს, როგორც ერთის შეხედვითვე ატყობს სიმონა? საშინლად იტანჯება, როგორც უცხოთა შორის ჩავარდნილი ყმაწვილი, რომელსაც ყურს არავინ უგდებს და სძულთ კიდეც... გარედ მოისმის ქარის ზუზუნი, ხან შესწყდება, ხან კვლავ უფრო საზარლად ზუზუნებს და ფანჯრებს არახუნებს. ყველასა სძინავს, თუ არაო? გაიფიქრა სიმონამ...

რა კარგად მოისაზრა!... ამაღამ ხომ პატარა იესო უნდა ჩამოვიდეს ქვეყნად და ფეხსაცმელი ტკბილეულებითა და ტიკინებით აუვსოს ყმაწვილებს. განა არ შეიძლება სიმონამ შემწეობა სთხოვოს პატარა იესოს და თავის ნაღველი შეამსუბუქებინოს? პატარა იესო ზეცაში სცხოვრობს და სიმონასაც ხომ ის უთხრეს, დედა შენიც იქ არისო. განიზრახა წერილის მიწერა დედასთან. პატარა იესო ხომ უთუოდა ჰნახავს და წაუღებს კიდეც დედასა. დასწერა წერილი, ლამაზად დაკეცა, ჩასდო კონვერტში და ზემოდგან შემდეგი წააწერა: „დედა-ჩემს, ზეცაში“. მაგრამ ვერ გაბედა აღმზრდელის ქალისა და ძმების თვალ-წინ ჩაედო ეს წერილი ფეხ-საცმელში... ეხლა ყველასა სძინავს, ხმაურობა არა ისმის-რა არც ძმების ოთახიდგან მარჯხვნივ და არც აღმზრდელის ქალის ოთახიდგან მარცხნივ. სიმონა ჩამოცოცდა ლოგინიდგან. წერილი უჯრაში აქვს დამალული, ბნელაში როგორმე ხელის ფათურით მოიხელებს. რა ნაირად უცემს გული, ვაი თუ ფეხი წამოვკრა რასმეო. უფრო ნელნელა წავიდა, რომ გძელმა პერანგმა არ დამიშალოსო. გააღო დერეფნისკენ კარი. სწორედ ამ დროს გააძლიერა ქარმაც ზუზუნი და კარის ჭრიალი აღარ გამოჩნდა. გამოვიდა დერეფანში. ორი კარები კიდევ და საკლასო ოთახსაც მიაღწია. ოთახის შუა ალაგას დიდი სტოლი სდგას და მარჯვნივ განჯინაა წიგნებით. დაიღუნა მარმარილოს ბუხართან: ერთი წაღა, მეორე, ...ეს ძმების ფეხსაცმელებია. ჩასდო წერილი ისე, რომ თვალ-საჩინოდ დებულიყო და თითონ საწყალი სიცივისა გამო კანკალით წამოვიდა. ჩაწვა ლოგინში და გული ცოტაოდნად მოუთბა. ეხლა რამდენიც უნდა იზუზუნოს ქარმა, რამდენიც უნდა არახუნოს ნამქერმა ფანჯრები, სიმონას გულს იმედი მიეცა და ამ იმედმა გაათბო. როგორ შეიძლება, რომ დედამ არ დაიხსნას ამ გაჭირვებიდგან.

ღამის პირველი საათია. საერთო წყვდიადში სინათლე მხოლოდ გრაფ ეისევის სამუშაო კაბინეთიდგან გამოდის. გრაფი ბუხართან ზის ღრმად ჩაფიქრებული. ერთის წლის წინად— მხოლოდ ეს ერთი წელიწადია— გრაფი და იმისი ცოლი ამ დროს თითქმის ათავებდნენ კიდეც ყმაწვილებისთვის საჩუქრების დამზადებას. ძნელია, მეტად საზარელია, [illegible] გარდაცვალებულს საყვარელს ქალს იგონებ და მასთან ერთად ლალატიც გაგონდება. ქარის ზუზუნ წუწუნმა, რომელიც უკვე დამშვიდებულს სიმონას ნანასავით-ღა ესმოდა, ახლა ამ კაცს აუშალა დარდები, ლამის ჭკუაზე შეიშალოს... ხედავს თავისს ცოლს თითქო თავის წინაშე მდგარს. აგერ იმისი ნაზი ფერმკრთალობა, სადა თვალები და ღიმილი ამაყს ტუჩებზე. მაგრამ რა? ეს სინაზე, ეს სახის გამომეტყველება, ეს ღიმილი მხოლოდ ზედა-პირი იყო საზარელის საიდუმლოებისა. ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა, რომ გრაფი შეხედავდა თუ არა, კარგს გუნებაზე დგებოდა მაშინვე, მაგრამ თურმე ჰღალატობდა-კი. რამდენიმე

ვარ. უძლური, უპყარი, პირ დალეული გლახა. ხა, ხა, ხა, გლახაზედ უარესი, ამიტომ რომ იმდენი ძალაც არა მაქვს, რომ ხელის გაწოდება მოვახერხო მოწყალებისათვის. ოჰ, ოჰ, (ქვითქვითებს) რისთვის მშობე, მშობელო, რისთვის გამომზარდე! (დაჯდება სტოლთან, თავს ხელებზე დაიყრდნობს და დიდხანს სტირის. შემდეგ ჩვემინება.)

განთიადია. აღმოსავლეთი მთლად ალისფრად არის შეღებილი. განთიადის ქარმა უცებ დაუბერა და ოდნავ მიხურული ფანჯარა კედელს მიახეთქა, ლამპარიც ჩააქრო. დათიკო რეტიანივით წამოხტა, თავზედ ხელი გადაისვა და აღმოსავლეთს მიაპყრო თვალი.

— კიდევ გამითენდა, კიდევ?.. ოჰ, რა მომხიბლავი სიზმარი ვნახე, რა სიხარულით და ბედნიერებით ვიყავი სავსე: შობა ღამე იყო, ჩვენი დიდი დარბაზი ყლაპიანთ-კარში მშვენიერად იყო გაჩაღებული, დედა ჩემი მარიამ და მამა ჩემი იოსებ თავისის საუკეთესო ტანისამოსით გამოპრანჭულან და გძელის ძვირფასის საფენით დაფენილს ტახტზე სხედან. მათ პირდაპირ ვეებერთელა ქართლული ბუხარი გუგუნებს. წამ და უწუმ კარი იღება და შემოდიან გლეხნი, სუფთად ჩაცმულნი, ხონჩებით ხელში. რეები არ აწყვია ამ ხონჩებზედ: წითლად დაბრაწული ნაზუქები, ნასუქი ინდოურები, ბროლივით გაკეთებული გოჭები, ჩაკვერცხილი დედლები! ღვინო?! ღვინო ხომ აუარებელია, ჯარივით არიან მოტანილი სალვინეები ჩამწკრივებულნი. მამა ჩემი და დედაჩემი ყველას თავს უკვრენ, პირი ულიმით, „აგაშენოს“ ეუბნებიან და სთხოვენ გლეხებს დაბძანებას. ისინიც დარბაისრულად, წყნარად ეწყობიან სკამებზედ და თან მოწიწებით აძლევენ სალამს ბატონებს. სწორედ სადღესასწაულო სალამ-ქალამია! მეც იქვე კუნჭულში ვზივარ გიმნაზიის მუნდირით გამოწყობილი და დიდად თავი მომაქვს... გიმნაზიის მუნდირი! რა რიგად მიყვარდა და/რა ცოტა ხანს ვატარე. ოთხ კლასამდე ძლივს მივაღწიე. რად მინდოდა სწავლა, დიპლომი, განვითარება მე დედის ერთას, დიდის მამულის პატრონს ყლაპიაშვილს?! რად მინდოდა! (მწარის სიცილით) განა ჩემი შეძლება, მთა და ბარი საკმარი არ იყო, რომ ქვეყანაში უსწავლელადაც პატივი და დიდება მეპოვა? დიაღ, საკმაო იყო, როგორც ჰხედავთ. აი მხოლოდ ოცდა ცხრა წლისა ვარ და სიმშლით ვკვდები... სიმშილით!..

ამ ჭუჭყიანს სოროში სიცივით ვიყინები და მოვალეების შიშით კარში ველარ გავდივარ...

სად არის ჩვენი მკვიდრად ნაგები ქვითკირის დარბაზები. სად არის თვალ გადუწვდენელი ნაფუზრები, მშვენიერი ვაზით და ხეხილით სავსე ზვრები? სად არიან ტკბილი, დარბაისელი ყლაპიანთ-კარის გლეხნი? სად არის ღალა, კულუხი, ძღვნები? სად არის ჩემი მშობლებისაგან დატოვებული უზრუნველი ლუკმა?—სად არის?—ქალაქის ბაღებში, კლუბებში, მაწანწალა, ურცხვ დედაკაცების სადგურებში... თვრამეტი წლისა ვიყავი, რომ პირველად „სან-სუსში“ არფიანკებში დავითვერი, სამს დღეს ლოგინიდგან ველარ ავდეგი, სიმთვრალემ მიხამა... და სამის დღის შემდეგ, „ვაზაში“ წაველი... „კინგრუსტში“... მაგრამ ყველაზე მომეტებელი წავიდა ფაეტონ-ეკიპაჟებში... ფაეტონი, ფაეტონი... ოჰ, ეს წყეული ფაეტონი რა რიგად მიყვარდა! როგორ მოყელყელებული, მუხლებზედ ხელებ დაბჯენილი ჩოხა-ხანჯლით გამოვიჭიმებოდი ხოლმე და რა რიგად მივაფრენდი, მივათრენდი დაულალავად, საჩქაროდ, შეუფერხებლად... მივაფრენდი სად? სად გავრბოდი... აი, აქ, ამ ქოხში, ამ წყეულს ფანჯარასთან, რომელიც ასე შეუბრალებლივ ჩასცქერის მტკვრის უფსკრულს. (ქვითქვითით) დიაღ, მივედი ჩემს ბინაზედ, მივედ! ღმერთო, დამეხსენო...

დათიკომ უეცრად გამოაღო ფანჯარა და გაქანებული გადახტა მტკვრის ღურღუმში.

ეკ. გაბ…

წელიწადი ჰღალატობდა და ატყუებდა იმ კაცს, რომელსაც სამარცხვინოდ მიაჩნდა თავისს გულში რისმე ექვის გავლება ცოლის შესახებ. სადღაა ამ ტიალს წუთი-სოფელში სამართალი, თუ იმისი ალისაც სხვებსავით ყალბი გამოდგა? ახ, როგორ უნდა დაივიწყოს, რომ ის ბაგე, რომლის ღიმილიც სიცოცხლედ მიაჩნდა, სწორედ ის ბაგე ეფლიდებოდა და ატყუებდა. რა ლამაზი იყო, პირველად წვეულების დროს რომ ჰნახა სრულიად ახალგაზდა! რა ნაზი და რა უმანკო რამ იყო! იმ საღამოდგან შეიყვარა კიდეც. რა ნაირი აღელვებული იყო, ხელი რომ სთხოვა, რა ნაირადა რცხვენოდა თავის წარსულის ახალგაზდულ ცხოვრების ამბების მოგონებისა! შეირთო კიდეც... რა ღვთიური გრძნობა ულვიოდა გულში, როდესაც ორნივე საკურთხეველთან მივიდნენ. ეკკლესიაში მრავალი ხალხი იყო, მაგრამ იმას სხვა არავინ დაუნახავს, გარდა ამ თეთრის არსებისა, რომელიც თეთრს პირბადეს ქვეშ ისეთის თვალ-წარმტაცის სახით სუნთქავდა, რომ გრაფს თავისი ბედნიერება ვერ დაეჯერებინა! ტყუილი! ყოველივე ეს ტყუილი გამოდგა—უზადობაც მისის კეთილ-შობილურის სახისა, მორცხვობაც, რომელიც სამუდამოდ შერჩა... გრაფს წარმოუდგა საქორწინო ოთახი დ იმისი უმანკო ნაზი პირი-სახე, გაშლილი თმა და ბალიშზე მისვენებული თავი. იმის გახსენება, ხომ სხვაც შეეხო ამ რბილს ნაწნვებს, სხვაც ეალერსა იმისს პირი-სახეს, სხვაც მიეკარა იმისს ბაგესაო—საშინელ მოჩვენებად მიაჩნია გრაფს, მაგრამ იმაზე ნაკლებ სამძიმოდ-კი, ვიდრე ღალატით მოტყუებაა. სხვა ქალი რომ ყოფილიყო, გრაფი ასე არ დაიტანჯებოდა, როგორც ეხლა იტანჯება, მაგრამ ღალატი და ეს ზეციური მომხიბლავი თვალები, რომელიც ეხლაც-კი არ ძილუძს, არ შეიყვაროს!...

ბევრი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც გრაფმა ეს გულ-საკლავი ამბავი შეიტყო. დილით ისა და ცოლი ერთად წავიდნენ ცხენებით. უბედურების დროს გრაფი იქ იყო და წინაღამ სიმწარით ჰკუაზედ არ შეიშალა. პირველად თითონ მივარდა მამაკვდავსა და მობრუნება დაუწყო... ხოლო საღამოზედ, საყვარელის ცოლის დამარხვის შემდეგ, როდესაც სიყვარულის ტანჯვით მოცული იმისს ოთახში შევიდა წარსულის ნეტარების მოსაგონებლად, უეცრად საზარელი, მაგრამ უტყუარი საბუთი-კი მოიხელთა. როცა უჯრას გამოსწია, სადაც ცოლი ძვირფასს ნივთებს ინახავდა ხოლმე, მთელი გროვა წერილები იპოვნა და ყველაფერი შეიტყო... იმისს ცოლს საყვარელი ჰყოლოდა! მერე ვისზე გასცვალა ქმარი? იმაზე, ვისთვისაც ის ქალი ყველა ქალზე უწმიდესი უნდა ყოფილიყო—მარკიზ ედიზე, რომელიც ახალგაზდობიდგანვე მეგობარი იყო გრაფისა... გრაფმა ერთბაშად შეიტყო ყველაფერი, მათი ბრძოლაც თავდაპირველად, ედის გაქცევაც ალისასაგან და ხელ-ახლად მალე დაბრუნდება, ალისას ღალატი, მისის სინიდისის ქენჯნა და, რაც უფრო ყველაზე საზარელია,—სიმონას დაბადების საიდუმლოებით მოცული ამბავიც. დიაღ, პატარა სიმონა, რომელიც გრაფს ყველას ურჩევნოდა, რომელსაც მისი გული ყველაზე უმეტესადა ჰქონდა დაპყრობილი, დიაღ, სწორედ ეს სიმონა მისი შვილი არა ყოფილა! თვალი დაიბრმავოს კაცმა და ასე უბედურად! როგორ ვერ მიჰხვდა, რომ ეს ნაზი კაკნატელა არსება არ უნდა ყოფილიყო არც იმისის ჯიშისა და არც იმისის შვილებისა, რომელთაც განიერს მხარ-ბეჭებზედვე ეტყობოდათ ეისევობა. მაგრამ გრაფს სწორედ ეს სინაზე მოსწონდა სიმონასი, რომელიც ნამდვილი პირწავარდნილი დედა იყო. თუ ალისამ შვიდი წელიწადი ატყუა ქმარი, რატომ ეს მოტყუება ბოლომდე არ განაგრძო? რად ინახავდა საყვარლის წერილებს? ვინ იცის, რა ძლიერ უყვარდა ალისას ის კაცი და რა დაიმედებული იყო თავის ქმრის ნდობაზე და უეჭველობაზე! პირველად გულში გაივლო „მოღალატეს მოვკლავო“... მაგრამ შემდეგ შვილების გულისთვის გადასთქვა. არ, უნდოდა, რომ შვილებსაც მამასავით გაეგოთ დედის ამბავი. გრაფმა ისევ ძველებურად დაიწყო ცხოვრება. სხვა არაფერი ჩაუდენია-რა, გარდა იმისა, რომ ხელი აღარ ჩამოართვა თავისს მოღალატე მეგობარს. შვილებს რომ მიეალერსა, გრაფმა გაიფიქრა: „ყველაფერი თქვენ შემოგწირეთ, ჩემი შურის-ძიებაც-კიო.“ სცხოვრობდა ასე გრაფი და ნიადაგ ის აზრი უწყლავდა გულსა, რომ სიმონა სხვის შვილი იყო. რამდენჯერ უთქვამს თავისთვის: „მაგ საწყალისა რა ბრალიაო“, მაგრამ ღონე მაინც ვერ მოეკრიბა, ვერ ძალუძლდა, ეპატიებინა ბავშვისთვის ღალატი დედისა, ის ღალატი, რომელიც ეხლაც-კი ამ შეურაცხყოფილს კაცს ისე ატირებდა, თითქოს მხოლოდ, ეს არის, ეხლა შეიტყო ყველაფერიო.

ორი საათი შესრულდა. გრაფმა ცრემლები მოიწმინდა. ეხლა ტირილი სირცხვილად მიაჩნდა. „ეს სულმდაბლობააო“ წარმოსთქვა გრაფმა და ზეზე ადგა. შუბლი უფრო მოეღრუბლა. იქვის გრძნობამ თვალები აუმღვრია. მოაგონდა ღალატი და პატარა სიმონაც. არა, თავისს დღეშიც არ აპატიებს! სტოლზე შეკრული ტიკინები აწყვია, რომელიც გრაფმა თითონ უნდა შეიტანოს საკლასო ოთახში და ყმაწვილების ფეხსაცმელებთან დააწყოს. სიმონას ტიკინებს რომ მოავლო ხელი, ტანში გააჟრჟოლა. თითქოს სძულს კიდეც პატარა სიმონა. „თუნდა მართლაცა მძულდეს, მერე რაო?“ გაიფიქრა გრაფმა და ცდილობდა სინიდისის ქეჯნა შეეყენებინა, რომელიც აღარ უსვენებდა. განა თავისი მოვალეობა კარგად ვერ შეასრულა? მაშ რაღად უნდა ჰქენჯნოს სინიდისმა? ჰქიფრობდა ასე გრაფი, ბოლოს აიღო სანთელი და ტიკინები და საკლასო ოთახისკენ გასწია. ბუხართან, კუთხეში, კონვერტი დაინახა, აიღო, გახსნა და წაიკითხა:

„საყვარელო დედავ!

გწერ ამ წერილსა, რომ ჩემი კარგი ნაწერიც გაჩვენო და შეგატყობინო კიდეც, რომ აქ უშენოდაც კარგად ვიქცევი. მაგრამ სასტუმრო ოთახში-კი აღარ შევდივარ. მამა მეუბნება, სულ აღმზრდელს ქალთან უნდა იყოვო. აღმზრდელი ქალი ძლიერ გულ-კეთილია. შენ რომ ტიკინი მაჩუქე, მომბეზრდა, მომბეზრდა აგრეთვე სხვა ტიკინებიც. მას უკან აღარაფერი არა მართეობს-რა, რაც შენ აქ აღარა ხარ.

„არმანს თმა შეაკრიჭეს, მე შავი კაბა მაცვია და სავარცხელს ვიკეთებ, შენ რომ არ გიყვარს. პიერს ძლიერ გძელი შალვარი აცვია და მაბრაზიანებს ხოლმე, როცა ვტირი. არმანი მე მექომაგება. აღმზრდელი ქალი მეუბნება, რომ შენ ზეცაში ხარ და ძლიერ ბედნიერედა სცხოვრობ. რატომ მე-კი თან არ წამიყვანე, ხომ ძლიერ ჭკვიანად მოვიქცეოდი!

„დედავ, რაკი ზეცაში ხარ, პატარა იესოსა სთხოვე, რომ მოახერხოს და მამამ ისევ შემიყვაროს, როგორც შენს დროს ვუყვარდი. გაკვეთილების შემდეგ პიერი და არმანი სულ იმასთან არიან და მე-კი აღმზრდელს ქალთანა მგზავნის, რომ ვითომ არ ვიცელქო. მამას ვერ შემიძლიან შევხედო, იმის თვალებისა მეშინიან. მაგრამ გარწმუნებ, დედავ, რომ ცუდს არაფერსა ვშვრები.

„მამა ყოველს საღამოს მოდის ხოლმე და ჩემს ძმებსა ჰკოცნის. კარგად მესმის, კარები რომ იხურება. მე თავს მოვიმძინარებ ხოლმე, ხელებსა ვკუნშავ, ვუცდი, მაგრამ ჩემთან არ მოდის; ტირილს-ღა დავიწყებ ხოლმე, რომ მალე დამეძინოს.

„დედავ, თუ კიდევ გიყვარვარ, უთხარი პატარა იესოს, რომ მე მამას აღარ უნდივარ და მინდა მოვკვდე. დედავ, პირს გკოცნებ.“

წერილის ბოლოს ეს ეწერა: „შენი სიმონა, რომელსაც ძლიერ უყვარხარ“.

გრაფმა გადიკითხა წერილი და კვლავ დაუბრუნდა. რა აზრები უტრიალებდა თავში. ზედი-ზედ ათასნაირმა აზრმა გაურბინა გრაფსა. ყოველის ბავშვის დარდს რაღაცა დიდი გულის ტკივილი ატყვია. ეს ბავშვიც იმ ქალის ნაშენია, რომელიც გრაფს ერთს დროს გაგიჟებით უყვარდა. ერთის საათის შემდეგ გრაფი პატარა სიმონას ოთახში იდგა და მძინარე ყმაწვილს დაჰყურებდა. როცა სიმონამ გაიღვიძა, არ იცოდა, სიზმრად მოხდა, თუ ცხადად, მაგრამ მამა-კი მივიდა და გადაჰკოცნა ადრინდებულად ცრემლ-მორეულმა. მაგრამ საკვირველი უფრო ის არის, რომ სიმონასთანად გრაფს ეხლა აღარავინ არ უყვარს; განსაკუთრებით მას შემდეგ შეიყვარა პატარა სიმონა, რაც ერთხელ კლუბში უსიამოვნობა მოუხდა ედისთან, შემდეგ დუელში გამოიწვია და მოჰკლა კიდეც. ხალხში ვინც-კი იცოდა სიმონას დაბადების ამბავი, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ასე რად დააგვიანა გრაფმა შურისძიებაო. მაგრამ მაშინ რაღას იტყოდნენ, შემდეგი ამბავი რომ შეეტყოთ: ერთხელ გრაფმა ელისეის მინდორზე თვალი მოჰკრა, რომ ედიმ პატარა სიმონას აკოცა, და სწორედ მაშინ გარდასწყვიტა იმისი დუელში გამოწვევა.

ს. გძელიშვილი

## დეპეშა

24 დეკემბერი

**ოდესა.** ოდესის პურით ვაჭრებმა იშუამდგომლეს მთავრობის წინაშე და ნება მიიღეს რუმინიიდგან ხორბლის გატარებისა ოდესაზე ტრანზიტით.

**ვლადივოსტოკი.** 13 სექტემბერს კრონშტადტიდგან წამოსულმა გემმა გუშინ 18,692 ფუთი რელსი მოიტანა უსსურიის რკინის გზისთვის.

**კონსტანტინოპოლი.** დიდმა ვეზირმა წინადადება მისცა ბოლგარიის აგენტს ვულკოვიჩს, ოსმალეთი შუამდგომლობას გასწევს ბოლგარიასა და საფრანგეთს შორის მომხდარს უთანხმოების საქმეშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 2„ დეკემბერი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8, 20 | 8, 24 | — ,, |
| ტფილისის კუპონები | $163\frac{1}{4}$ | 164 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1. 19 | — ,, | .. |
| 5% პირველის შინაგანის სესხის ძომგები ბილეთი | — ,, | , | $239\frac{1}{2}$ |
| —მეორისა | — ,, | , | $219\frac{1}{2}$ |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, | 199 | — ,, | 202 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, [illegible]ადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.


## განცხადებანი

ვთხოვ ყველა წიგნის გამომცემლებს და ავტორიებს, როცა ახლად წიგნი გამოსცენ ქართული 1 იანვრ. 1892 წლისა, თითო ეგზემპლიარი მიგზავნონ ფოსტით ფას-დარქმეულ ამანათების წესით (наложеный платежъ) ადრესი: Въ Гори Василію Б—Якобидзе.

(1—1))

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. | 10 მ.—კ. | 6 | თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50,, | 5 | ,, | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75,, | 4 | ,, | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, —,, | 3 | ,, | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25,, | 2 | ,, | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50,, | 1 | ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Дозв. ценз. Тифлисъ, 24-го Декабря 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭ ჭავჭავაძე.